

მოდერნი და პოსტმოდერნი – სოციოლოგიური თეორიები

მოდერნი – თანამედროვე

- მოდერნი – თანამედროვე
- „მოდერნიზაცია“ – ცვლილებების პროცესი
- მოდერნიზმი, თანამედროვეობა, ანუ მოდერნის ეპოქა –სოციალური სინამდვილე, რომელშიც მოდერნი დამკვიდრდა მოდერნიზაციის შედეგად.

მოაზროვნეთა უმეტესობის აზრით, „თანამედროვეობა“ XIX ს-ის მეორე ნახევარში დაიწყო. ხოლო დამთავრდა თუ არა მოდერნის ეპოქა ამის შესახებ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები არსებობს.

კლასიკოსები მოდერნზე

- **კარლ მარქსი (1818-1883)** – მოდერნის მთავარ მახასიათებლად მიაჩნია კაპიტალისტური ეკონომიკა და, აქედან გამომდინარე, სოციალური კლასი
- **მაქს ვებერი (1864-1920)** – მოდერნის განმაპირობებლად თვლის მატერიალური ქონების დაგროვებისკენ სწრაფვას, რამაც განსაზღვრა რაციონალიზმის, როგორც მოდერნის მთავარი მახასიათებლის წარმოშობა . რკინის გალიის თეორია.
- **ემილ დიურკემი (1858-1917)** – აქცენტს აკეთებს ორგანული სოლიდარობის წარმოშობაზე. ვიწრო სპეციალიზაციის მეშვეობით, ადამიანის დამოუკიდებელ ინდივიდად ჩამოყალიბებაზე და კოლექტიური მორალის შესუსტებაზე, რამაც საბოლოოდ ანომია გამოიწვია.
- **გეორგ ზიმელი (1858-1918)** – მოდერნისთვის ორგანულად მიიჩნევს ქალაქურ ცხოვრებას და ფულად ეკონომიკას. ასევე აანალიზებს ფულის გაუცხოებას მისი თავდაპირველი მნიშვნელობისგან, კულტურის ტრაგედიას, ინდივიდუალური კულტურის ატროფიას და ობიექტური კულტურის ჰიპერტროფიას.

მოდერნული საზოგადოების ძირითადი ნიშნებია:

- ინდუსტრიალიზაცია
- ურბანიზაციის მაღალი ხარისხი
- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი
- თავისუფალი საბაზრო წარმოება
- კონსტიტუციონალიზმი
- ლიბერალური დემოკრატია
- ინდივიდუალიზმი
- სეკულარიზმი
- რაციონალური აზროვნება

მოდერნიზაცია, როგორც მოვლენა

1. მოდერნიზაცია, როგორც დასავლური ცივილიზაციის განვითარების კონკრეტული ეტაპისთვის დამახასიათებელ სოციალურ - კულტურულ ნიშანთა ერთობლიობა.
2. მოდერნიზაცია, როგორც სოციალურ-კულტურული ნიშნების ერთობლიობა, რომელიც თანამედროვე განვითარების რიტმმა სხვა, არადასავლური ცივილიზაციების მახასიათებლად აქცია.

მოდერნის და პოსტმოდერნის ეპოქა გიდენსი – ბაუმანი

მოდერნის ეპოქის მახასიათებლები

- ეფექტურობა
- პროგნოზირება
- აქცენტი რაოდენობაზე და არა ხარისხზე
- კონტროლი ადამიანური ტექნოლოგიების უნიფიცირებული ოპერაციებით ჩანაცვლების გზით.


ბაუმანს და გიდენსს პოსტმოდერნის ეპოქა წარმოუდგენიათ მოდერნთან დაპირისპირებულ მოცემულობად, რომელმაც საპირისპირო ლოგიკით უნდა შეცვალოს მოდერნის ლოგიკა, შეავსოს ის სიცარიელე, რომელიც მოდერნში განიცადა ადამიანურობამ და გადალახოს ადამიანთა გაუცხოება ცხორების საზრისისაგან. ხოლო, სანამ კაცობრიობა ამ სააზროვნო სივრცეში შევა, მანამდე ის მოდერნის ეპოქაში განაგრძობს არსებობას

პოსტმოდერნის თეორეტიკოსები


- უკიდურესი პოსტმოდერნისტული პოზიციის გამზიარებელი თეორეტიკოსები მიიხნევენ რომ მოდერნის ეპოქაში მოხდა გარღვევა და მოდერნული საზოგადოება პოსტმოდერნულით შეიცვალა. (ჟან ბოდრიარი, ჟილ დელიოზი, ფელიქს გვატარი...)
- თეორეტიკოსთა ნაწილის აზრით, მართალია ასეთი გარღვევა მოხდა და მოდერნული რეალობა პოსტმოდერნულით შეიცვალა, მაგრამ პოსტმოდერნი მოდერნის შემკვიდრე და მისგან ამოზრდილი მოცემულობაა (ფრედერიკ ჯეიმსონი, ერნესტო ლაკლაუ, შანტალ მუფფუ, ნენსი ფრეზერი)
- მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი მოცემულობებია და არა ცალკეული ეპოქები (სმარტი).
- 1972 წელს სენტ-ლუისში საცხოვრებელი მიკრორაიონის – „პრიუტ აიგოუს“ დანგრევა
- 80-იანებში პრეზიდენტ რეიგანის მიერ სოციალური პოლიტიკის გატარებაზე მისი არაეფექტურობისა და სოციალური პრობლემატიკის გადაჭრისადმი სკეფსისის გამო უარის თქმა

ფრედრიკ ჯეიმსონი

- პოსტმოდერნი – გვიანდელი კაპიტალიზმის კულტურულ ლოგიკა. პოსტმოდერნულ რეალობას ახასიათებს:
 1. ზედაპირულობა
 2. ემოციების და აფექტების შესუსტება, ძლიერი მოდერნული ემოციების ფრაგმენტაცია და ახალი გვარის ემოციების, სიმძაფრე-ვარვარის წარმოშობა.
 3. დაკარგული ისტორიულობა – ისტორია წარსულის შესახებ პოპურია
 4. ახალი ტექნოლოგიები – ინდუსტრიული ტექნოლოგიის მნიშვნელობის ჩანაცვლება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით.



ედვარდ მუნკი – ყვირილი. 1893



ენდი უორჰოლი – Shot Marylins. 1964

ჟან ბოდრიარი

- თანამედროვე საზოგადოებაში ბატონობს არა ინდუსტრია, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, გართობისა და ცოდნის ინდუსტრია
- პოსტმოდერნში მიზანი – ნიშნების მწარმოებელი
- სისტემებით ბატონობის მიღწევა
- სიმულაკრები და სიმულაცია – ნიშნები გახდნენ თვითრეფერენტულნი და აღარაფერს გამოხატავენ საკუთარი თავის გარდა
- რეალობის ზერეალობით ჩანაცვლება – მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

- არსებობს თუ არა ვაშლი ემპირიაში, საერთოდ აღარ აქვს აზრი. ვაშლი არსებობს მაშინ, თუ არსებობს მისი ციფრული გამოსახულება...
- „ჩვენ ვცხოვრობთ სიმულაციების ტყეობაში, რომლებიც ქმნიან სპირალისებური, წრიულ სისტემას, დასაწყისისა და დასასრულის გარეშე“.
- ბოდრიარის პოსტმოდერნი მასების შთანთქავი „შავი ხვრელია“.

ტერმინ „პოსტმოდერნის“ გენეალოგია

- გამოთქმა „პოსტმოდერნი“ პირველად რუდოლფ პანვიცთან გვხვდება – 1917 წელს გამოცემულ წიგნში „ევროპული კულტურის კრიზისი“.
- მეორედ – 1934 წელი – ესპანელი ლიტერატურათმცოდნე ფედერიკო დე ონი. პოსტმოდერნსიმო – ლიტერატურის გარდამავალი საფეხური მოდერნსიმოსა და ულტრამოდერნსიმოს შორის.
- მესამედ ტერმინი გამოყენებულიყო უკვე ბრიტანელი ისტორიკოსის და ფილოსოფოსის, არნოლდ ტონინის მიერ 1947 წელს

ტონინი წიგნში – „ისტორიული წვდომა“ პოსტმოდერნს ევროპული კულტურის განვითარების გარკვეულ ფაზად მიიჩნევდა.

მან პირველმა შემოიტანა ტერმინი „პოსტმოდერნული“ ანგლო-საქსონურ სივრცეში

- ტონინი პოსტმოდერნის ეპოქის საწყის წერტილად 1875 წელს მიიჩნევს, როცა დასავლეთის ეროვნული სახელმწიფოები ვიწრო ნაციონალური პოლიტიკიდან საერთაშორისო ურთიერთობათა გლობალურ ასპექტში გადავიდნენ.

უმბერტო ეკო „ვარდის სახელის“ პროლოგში წერს, რომ თუ ასე გაგრძელდა პოსტმოდერნული კატეგორიები ჰომეროსთანაც მოიძებნება.

- ჟან ფრანსუა ლიოტარმა ჩაატარა ევროპელი კლასიკოსების მოკვლევა და მივიდა დასკვნამდე, რომ ყველაზე ახლოს პოსტმოდერნულ კატეგორიასთან არისტოტელე იდგა – ადამიანი, რომელიც თანამედროვე პოსტმოდერნამდე და მოდერნამდე ათასწლეულებით ადრე ცხოვრობდა.

მოდერნი და პოსტმოდერნი ხელფენებასა და აზროვნებაში

- უნდა აღინიშნოს, რომ ვსაუბრობთ არა პოსტმოდერნის არსზე, არამედ იმაზე, რაც ყველაზე ხშირად არის გაგებული როგორც პოსტმოდერნი
- ბოდრიარმა დასავლური ცივილიზაციის მთელი ისტორია დაყო ოთხ ძირითად ეტაპად იმის მიხედვით, თუ როგორ მხატვრულ სახეებს აწარმოებდნენ ისინი.

I ეპოქა – მხატვრული სახე ასახავს სიღრმისეულ რეალობას



▪ პიეტრონომიუს ბოსხის სურათი – თივის გადატანა, რომელშიც უმაღლესი ღვთიური რეალობის ფონზე ადამიანთა ყოფის უმნიშვნელობა არის ნახვენი.

1500-1515 წ.

II ეპოქა – მხატვრული სახე ასახიჩრებს რეალობას – შემოაქვს ალტერნატიული რეალობის შესაძლებლობა.

- ხელოვნება უკვე აღარ მიემართება მხოლოდ ღმერთს, როგორც ერთადერთ მნიშვნელოვანებას სამყაროში. ამ ეტაპზე ხელოვნებაში გამოხატული ჭეშმარიტება შეიძლება იყოს როგორც ღმერთი, ისე მაღალი ჰუმანისტური იდეები, საზოგადოებრივ-ემპირიული რეალობა ან ავტორის პირადი პოზიცია, განწყობა. რეალისტური ხელოვნების ეტაპი
- ლიტერატურაში ამ სააზროვნო სივრცის წარმომადგენლია ონორე დე ბალზაკი, ემილ ზოლა...

ჟაკ ლუი დავიდი

„ნაპოლეონის გადასვლა სენტ – ბერნანის უღელტეხილზე“

1802 წ.



III ეპოქა – მხატვრული სახე ნიღბავს სიღრმისეული რეალობის არსებობას.

მხატვრული სახე არ ასახავს რეალობას, არამედ არის მხოლოდ მისი წარმოდგენელი, რომლის მიღმაც უნდა აღიქმებოდეს ის, რისი ნიშანიც არის მხატვრული სახე.



ხელოვანი ორიენტირებულია შინაგანი რეალობის ძიებაზე და გამომსახველობითი საშუალებებიც ამ რეალობის ძიების შესაბამისად იხვეწება.



შინაგანი პრობლემა ჩახშულია და ხდება არა მისი გადაჭრის გზების ძებნა, არამედ ცინიკური პოზიციის დაკავება მისადმი, საკუთარი თავისა და საკუთარი პრობლემის დაცინვა.


მოდერნული ხელოვნების ნიმუშია მაგალითად ფრიდა კალოს, მოდილიანის ფერწერული ტილოები, ედვარდ მუნკის ყვირილი, მარკ შაგალის, ანრი მატისის და კაზიმირ მალევიჩის ნახატები. მარსელ დიუშანის რელიმეიდები



ფრიდა კალო – „ოცნება“



მარსელ ღიუშამი – კიბეზე ჩამავალი ქალი



ანრი მატისი – არაბული ყავახანა

მოდერნულ ხელოვნებას მაინც ახასიათებს ფონად რაღაც რეალობის არსებობა, რომელსაც არ ასახავს, მაგრამ გულისხმობს. შეიძლება ეს რეალობა იყოს არა ემპირიული, არამედ წარმოსახვითი. მოდერნიზმის მეტაფორაა პლატონისეული იდეათა აჩრდილები, რომელსაც გამოქვაბულის კედელზე მიჯაჭვული ადამიანები ხედავენ. აჩრდილებს გარკვეული მიმართება მაინც აქვთ არსთან – არიან მისი აჩრდილები (პოსტმოდერნიზმი კი ეს აჩრდილები უბრალოდ აჩრდილები არიან და არა რაიმეს ჩრდილები).

IV ეპოქა – პოსტმოდერნი – მხატვრულ სახეს არანაირი კავშირი არ აქვს რეალობასთან – ის საკუთარი თავის წმინდა სიმულაციაა.

- პოსტმოდერნულ ხელოვნებას 2 მთავარი ნიშანი ახასიათებს:
 1. კულტურის მომხმარებელთა რიცხვი და პროდუქტის რაოდენობა მაშტაბურია და ამის გამო, თავადვე განაპირობებს საკუთარი თავის თვისებრივად შეცვლას.
 2. ელიტარული და მასობრივი, ანუ დაბალი და მაღალი კულტურა ფაქტობრივად თანხვედრიან ერთმანეთს.
- 1969 წელს გამოქვეყნდა, ლესლი ფილერის ცნობილი წერილი – „გადაღახეთ საზღვრები, ამოავსეთ თხრილები“ (ნიშანდობლივია, რომ ეს წერილი დაიბეჭდა არა რომელიმე ლიტერატურულ ჟურნალში, არამედ ფლეიბოში). ფილერმა წერილში ასახა მისი თანამედროვე ლიტერატურული ვითარება, როგორც საზღვრების მოშლა

ელიტარულ და მასობრივ კულტურას შორის და მათი შერწყმა. მან მაგალითად მოიყვანა ავტორები – ჯონ ბარტი, ეონარდ კოენი, ბორის ვიანი და დაასკენა, რომ ჯოისის და მანის ეპოქა გათავდა – მოდერნული ლიტერატურა წარსულს ჩაბარდა.

პოსტმოდერნი არქიტექტურაში

- ჩარლ ჯენსკი – „პოსტმოდერნი ცდილობს გადაილახოს ეს ელიტარულობა არა გამარტივებით, არამედ არქიტექტურული ენის განვრცობით ბევრი სხვადასხვა მიმართულებით – ადგილობრივი თავისებურებების, ტრადიციების, ქუჩის სლენგის ათვისებით.“

1965 წელს, ბერლინში, რომის მწარმოებელი საწარმოს ადმინისტრაციული შენობის პროექტი სულ იოლად გადაკეთდა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის პროექტად.

პოსტმოდერნი არ არსებობს საზრისი და სულერთი ხდება ყველაფერი. აზრს კარგავს არსებული ემპირიაც კი. ასლი წინ უსწრებს რეალობას. ასლი ამკვიდრებს რეალობას, მაგრამ ასლს აღარ გააჩნია ორიგინალი. ამიტომაც, ხშირად ახალი ამბების რეპორტაჟი აძლევს სტიმულს სოციალური მოვლენების განვითარებას და იმ ფაქტების მოხდენასაც, რასაც ასახავდა რეპორტაჟი, მაგრამ რაც მოხდა მისი მოქმედებით და არა ასახვამდე. ის, რაც წესით ამსახველი უნდა იყოს, განმსაზღვრელი ხდება. ამის კარგი მაგალითები მოიძეება ქართულ სივრცეში – ტელევიზია „იმედის“ მოდელირებული ქრონიკა თუ „რუსთავი2“-ის მიერ ვარდების რევოლუციის სტიმულირება. სოციალური მოვლენები ვითარდება არა ღმერთის, ბუნების კანონზომიერების მიხედვით, არამედ ადამიანის მიერ კონსტრუირებული მოვლენების მიხედვით.

პოსტმოდერნიზმი და მასობრივი კულტურა

პოსტმოდერნიზმი ისეთი კულტურაა, რომელსაც აბსოლუტი არ აქვს. მას შეხედულებების პლურალიზმი ახასიათებს

- ესთეტიკურ სფეროში რელატივიზმი ანადგურებს ავტორის დიქტატს, ავტორის ტოტალიტარიზმს, ნებისმიერ იდეოლოგიას. ავტორი, მწერალი, ხელოვანი პოსტმოდერნულ კულტურაში აღარ ღაპარაკობს ყველას სახელით, აღარ არის ხალხის მასწავლებელი, წინამძღვარი. პოსტმოდერნული კულტურა იზიარებს ვიტგენშტეინისეულ მოსაზრებას, რომ ” ჭეშმარიტება უბრალოდ სიტყვაა, რომელიც აღნიშნავს, იმას რასაც აღნიშნავს ლექსიკონის მიხედვით. ჭეშმარიტება სიტყვაა, რომელსაც არსი არ აქვს, ანუ უარყოფილია ჭეშმარიტების ისტორიულობა და ის სიტყვაა, რომელიც ტექსტის ერთერთი ელემენტია, ანუ ისტორიის ნაცვლად ტექსტი გვაქვს. ისტორია კი ტექსტის წაკითხვის ისტორიაა“.

INALCO-ს სემინარმა დაადგინა „მასობრივი კულტურის“ ხუთი კრიტერიუმი:

1. მისი წარმატება ინდუსტრიული ხასიათისაა (და შესაბამისად, შესაძლებელია მისი უსასრულოდ რეპროდუცირება; ერთგვარად ეს არის „ასლების კულტურა“);

2. მისი გავრცელება ხდება მას-მედიის მეშვეობით (მას-მედიის ყველა სახეობა შეიძლება მონაწილეობდეს და ხშირად მონაწილეობს კიდევ მისი წარმოების პროცესში);
3. ის ადვილად ხელმისაწვდომია და მას სრულებით არ აფერხებს არც საზღვრები, არც კლასები, არც ენები;
4. მისი შინაარსი და წარმოდგენის ფორმა მეტად ჭრელია. მას აქვს თავისი რიტუალები, მითები, ვარსკვლავები. ანუ ის სრულებით არ არის ერთსახოვანი და მარტივი, როგორც მას ხშირად ახასიათებენ;
5. მასობრივი კულტურა მიმართულია კეთილდღეობისკენ, სიამოვნებისკენ, სიხარულისკენ, რაღაც აზრით. და სწორედ ამიტომ იხარჯება მასზე უამრავი სახსრები, ის კომერციულ ტერმინებში იაზრება კიდევ. ერიკ მასემ მასობრივი კულტურა განსაზღვრა როგორც „კულტურულ ობიექტთა (და მასთან

მასობრივი კულტურია ვითარდება ძირითადად მდიდარ ინდუსტრიულ ქვეყნებში

მასობრივი ხელოვნებისთვის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს მარგინალური ჯგუფების, მარგინალური ადამიანების ყოფა და ცხოვრება (განსაკუთრებით ლიტერატურისათვის); ამასთან, მასობრივი კულტურის მარგინალიზმი სოციალური კრიტიციზმის სახეს ატარებს. „გარიყულთა“, სოციალური ფსკერის წარმომადგენელთა სამყარო, დამნაშავეობა, ხელისუფლების კორუფცია და ა. შ. დიდაქტიკური ხასიათისაა, რაც უცხოა მოდერნიზმისთვის,

პოსტმოდერნის კრიტიკა

- იურგენ ჰაბერმასი - პოსტმოდერნი დაუმთავრებელი მოდერნია.
- დანიელ ბელი - პოსტმოდერნისტულ ეპოქას აიგივებს პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებასთან და მიიჩნევს, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება საწარმოო ურთიერთობების განვითარების ისეთი სტადიაა, როდესაც ქრება ყველა ისტორიული სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობა ტექნიკის განვითარების შედეგად
- ნიუ ეიჯცი- ის რაც, დღეს ხდება მოდერნია.ამაზე პოსტმოდერნის დასახელებაც მეტყველებს, რომელიც მოდერნის გვიანდელ ფაზაზე მიუთითებს.
- ჟან ბოდრიარი – მოდერნს ”სცენის ეპოქას” უწოდებს, რომლის დაგვირგვინებასაც ტელევიზია წარმოადგენს.
- უმბერტო ეკო- პოსტმოდერნისტული ხედვის ნიშნები ყველა ეპოქას ახასიათებს სულიერი კრიზისის პერიოდში. სწორედ ამ დროს ხდება ინდივიდუალური სუბიექტის გამწირება, რის შედეგადაც იკარგება ტრადიციის დამცავი პიროვნული სტილი.
- გოტფრიდ ბემი – შეიძლება იოლად გავიდეთ ფონს სიტყვა „პოსტმოდერნის” გარეშე, რადგან ის ახალი, რაც მის ფარგლებში იქმნება, არ სცდება მოდერნის შესაძლებლობებს”.